



## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბიბლიოთეკარი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**პროფესიული განათლების საფეხური:** მეოთხე

**პროგრამის მოცულობა: მოცულობა:** 143 კრედიტი

**პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა:** 26 სასწავლო თვე

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

**პროგრამის მიზანი** – პროგრამის მიზანია მისცეს პირს შესაძლებლობა, მიიღოს ფართო განათლება და ძირითადი ცოდნა საბიბლიოთეკო სფეროში; აგრეთვე, განუვითაროს ის აუცილებელი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა როგორც შრომის ბაზარზე გასასვლელად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად, როგორც ფორმალურ, ისე, არაფორმალურ საგანმანათლებლო სისტემებში.

### სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ბიბლიოთეკის სივრცის ორგანიზება
- ფონდის დაკომპლექტება
- ფონდის მართვა
- ფონდის დაცვა
- საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა
- საბიბლიოთეკო მომსახურება

კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება